



სოფელ ჩალაუბნის გზის (გურჯაანის მუნიციპალიტეტი)
რეაბილიტაციის ქვე-პროექტი

გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგი და
სოციალური და ბუნებრივი გარემოს დაცვის მართვის გეგმა

მსოფლიო ბანკი
რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების მეორე პროექტი

თბილისი, საქართველო

ოქტომბერი 2015

გარემოსდაცვითი სკრინინგი

ქვე-პროექტის ობიექტი მდებარეობს გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩალაუბანში, დედაქალაქიდან 90 კმ მანძილზე. პროექტი ითვალისწინებს სოფელ ჩალაუბნის გზის რეაბილიტაციას, რომლის საერთო სიგრძეც 3.656 კმ შეადგენს. ქალაქი გურჯაანი, რომელიც გურჯაანის რაიონის ცენტრს წარმოადგენს, საქართველოს აღმოსავლეთით, კახეთის რეგიონში მდებარეობს. გურჯაანი მდებარეობს ალაზნის ველზე, თბილისიდან აღმოსავლეთით 110 კმ მანძილზე.

სარეაბილიტაციო გზა ათწლეულების წინ აშენდა და იგი გამოყენებაშია ყოველგვარი განახლების გარეშე. ამჟამად ასფალტის საფარი დაზიანებულია წვიმის წყლისა და თოვლის გამო. დაზიანებული გზა აფერხებს ნორმალურ სატრანსპორტო მოძრაობას, ამცირებს გზის გამტარიანობას და იწვევს ემისიების, ვიბრაციისა და ხმაურის მოცულობის ზრდას, რასაც თავის მხრივ გარემოს დაზიანებები მოჰყვება.

ვინაიდან გზის სავალი ნაწილიდან 15-20 სმ სიღრმეზე განივად განთავსებულია სასმელი წყლისა და გაზის მილები, (გაზისა და წყლის ცენტრალური მაგისტრალიდან კერძო მოსახლეობის ეზოებამდე). საგზაო სამუშაოების ჩატარებისას საშიშროება ემუქრება მათ დაზიანებას, შესაბამისად გათვალისწინებულია მათი დემონტაჟი, ჩალაგება 50-60 სმ-ის სიღრმეზე სავალი ნაწილის ნიშნულიდან და შემდგომ მათი მონტაჟი. პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული არ არის ტროტუარების მოწყობა, რადგანაც გზისპირა კიუვეტსა და დასახლებულ ტერიტორიას შორის არსებობს საფეხმავლო ბილიკი.

ქვე-პროექტი ითვალისწინებს სოფელ ჩალაუბნის 3 656 მ (მთლიანი ფართი - 25812 მ²) შიდა რაიონული გზის მოასფალტებას და ორ მონაკვეთს მოიცავს:

- I. მონაკვეთი, რომელიც გაივლის სოფ. ჩალაუბანს, პკ 16+36-ზე კვეთს სარკინიგზო ლიანდაგს და მთავრდება სოფ. მელაანის საზღვართან, სიგრძით 3340 მ.
- II. მონაკვეთი, რომელიც იწყება ძირითადი გზის პკ 3+00 ზე (მარცხენა მიერთება გზა №-2) სიგრძით 316 მ.

გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები მოიცავს:

- დაზიანებული და გამოფიტული ა.ბეტონის საფარის (საშ. სისქით 5-6 სმ) მოხსნა მექანიზმების გამოყენებით, დატვირთვა ექსკავატორით ა.თვითმცლელელებზე და გატანა ნაყარში
- გზის განივად ჩალაგებული სასმელი წყლის მილების დ -30მმ დემონტაჟი და ახალი მილების მონტაჟი – 250 გრძ.მ
- გზის განივად ჩალაგებული გაზის მილების დ -30მმ დემონტაჟი და ახალი მილების მონტაჟი - 100 გრძ.მ
- გვერდულების და სავალი ნაწილის გაწმენდა სამშენებლო ნაგვისა და ნალექების შედეგად ჩამონატანი თიხაში ახელილი გრუნტისაგან და გატანა ნაყარში

- არსებული კიუვეტების გაწმენდა
- ახალი კუვეტების მოწყობა
- საფუძვლის ქვედა ფენის მოწყობა ქვიშა-ხრემოვანი ნარევით 1 412 კვ.მ;
- საფუძვლის ზედა ფენის მოწყობა ფრაქციული ღორღით 20 182 კვ.მ;
- ასფალტობეტონის საფარის მოწყობა მსხვილმარცვლოვანი ასფალტობეტონის ნარევით 18 502 კვ.მ;
- ასფალტობეტონის საფარის მოწყობა წვრილმარცვლოვანი ასფალტობეტონის ნარევით 20 182 კვ.მ.;
- გვერდულების მოწყობას - 7310-მ2
- გზებთან მიერთებების და ეზოებში შესასვლელების მოწყობას - 210 მ²;

ქვე-პროექტის სავარაუდო ხანგრძლივობა 4 თვეს შეადგენს.

(ა) ზეგავლენის შეფასება

<p>აქვს თუ არა ქვეპროექტს საგრძნობი ზემოქმედება გარემოზე?</p>	<p>ქვე-პროექტს ექნება მცირე მოკლევადიანი ზეგავლენა გარემოზე, ხოლო მისი გრძელვადიანი გავლენა იქნება პოზიტიური.</p> <p>ძირითად ზემოქმედებას ადგილი ექნება მშენებლობის ფაზაში, რომელიც მოიცავს გზის საფარის დაგებას, მძიმე ტექნიკის მოძრაობას და ექსპლუატაციას, მასალების მიწოდებას.</p> <p>გზა, რომლის აღდგენაც დაგეგმილია ქვე-პროექტის ფარგლებში, გადის ურბანულ არეალში, ანთროპოგენური ზემოქმედებით მოდიფიცირებულ გარემოში. ამიტომ ქვე-პროექტის განხორციელებით გამოწვეული ზეგავლენა (ხმაური, ემისიები, სამშენებლო ნარჩენები, სატრანსპორტო მოძრაობის დროებითი შეფერხება) არის დროებითი და უმნიშვნელო.</p>
<p>რა არის პროექტის მნიშვნელოვანი სარგებელი და არასასურველი ზეგავლენა გარემოზე?</p>	<p>ქვე-პროექტს აქვს დადებითი გრძელვადიანი ზეგავლენა, აუმჯობესებს რა ადგილობრივი მოსახლეობის საცხოვრებელ და ტრანსპორტირების პირობებს. ქვე-პროექტის განხორციელების შედეგად შემცირდება ზემოქმედების არსებული უარყოფითი ფაქტორები, როგორცაა მტვერი, ემისიები, ვიბრაცია და ხმაური.</p> <p>ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი უარყოფითი ზეგავლენა არის მოკლევადიანი და დამახასიათებელი ურბანულ გარემოში მცირე/საშუალო</p>

	<p>სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის: ხმაური, მტვერი, ვიბრაცია და ემისიები მძიმე ტექნიკის მოძრაობისა და ექსპლუატაციის შედეგად, სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა, ტრანსპორტის და ფეხით მოსიარულეთა მოძრაობის დროებითი შეფერხება.</p>
<p>შესაძლოა თუ არა რომ ქვე-პროექტს რაიმე მნიშვნელოვანი ზეგავლენა ჰქონდეს ადგილობრივ თემებსა და ზეგავლენის ქვეშ მყოფ პირებზე?</p>	<p>ქვე-პროექტის განხორციელება არ საჭიროებს მიწის ახალი ფართობის დაკავებას და განსახლებას.</p> <p>გრძელვადიან პერსპექტივაში ქვე-პროექტის სოციალური ზემოქმედება იქნება დადებითი - გაუმჯობესდება ადგილობრივი მოსახლეობის საცხოვრებელი პირობები, ასევე ტრანსპორტის მოძრაობისა და მგზავრობის პირობები და გაიზრდება ტურისტების ნაკადი.</p> <p>უარყოფითი ზეგავლენა არის მოკლევადიანი და შეზღუდული მხოლოდ სამუშაოების განხორციელების ადგილით. უარყოფითი ზეგავლენა დაკავშირებულია ზემოთ აღწერილ ფაქტორებთან.</p>

ბ. შემამსუბუქებელი ზომები

<p>რა ალტერნატივები იყო გათვალისწინებული ქვე-პროექტის პროექტირებისთვის ?</p>	<p>იმის გათვალისწინებით, რომ ქვე-პროექტის ფარგლებში დაგეგმილია არსებული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, განხილული იქნა მხოლოდ საგზაო საფარის ალტერნატიული ტიპები.</p> <p>ვარიანტი 1: სრული რეაბილიტაცია (ასფალტის საფარის გამოყენებით) – ღირებულება 1,098,888.84 ლარი; ვარიანტი 2: სრული რეაბილიტაცია (ბეტონის საფარის გამოყენებით) - ღირებულება 1,314,103.54 ლარი.</p> <p>მგფ-ს მიერ განხორციელებული ყველაზე დაბალი ღირებულების მიხედვით ანალიზის საფუძველზე, გამოტანილი იქნა დასკვნა, რომ საუკეთესო</p>
--	---

	<p>ალტერნატივას წარმოადგენს ვარიანტი 1: სრული რეაბილიტაცია (ასფალტის საფარის გამოყენებით), რომელიც ნაკლებ ფინანსურ და ეკონომიკურ დანახარჯს მოითხოვს. ამგვარად, რეკომენდირებული იქნა ვარიანტის 1 განხორციელება.</p>
<p>რა სახის შემამასუბუქებელი ზომებია შეთავაზებული?</p>	<p>გზის რეაბილიტაციის ფაზაში მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედებების შემცირება ადვილად შესაძლებელია. კონტრაქტორი პასუხისმგებელი იქნება, რომ ნარჩენები განათავსოს შეთანხმებულ ადგილას, გამოიყენოს მხოლოდ ლიცენზირებული კარიერებიდან მოპოვებული ინერტული მასალა, თავიდან აიცილოს წყლისა და ნიადაგის დაბინძურება (საწვავის/ზეთების დაღვრა სატრანსპორტო საშუალებებისა და მექანიზმების გაუმართაობის გამო, ასფალტისა და ბეტონის ნარჩენებით დაბინძურება), მოსახლეობის შეწუხება (ხმაურით, მტვერით და ემისიებით) შერბილდება მუშაობის/ მასალების მიწოდების განრიგის დაცვის გზით, მოძრაობის მართვით, სამშენებლო მექანიზმების შესაბამისი მოვლით და სხვა ღონისძიებებით.</p>
<p>წინა პროექტებიდან მიღებული რა სახის გამოცდილების გაერთიანება მოხდა ქვე-პროექტის დაპროექტებისას?</p>	<p>მუნიციპალური განვითარების ფონდს აქვს სხვადასხვა დონორების დაფინანსებული გზებისა და ქუჩების რეაბილიტაციის საშუალო და მსხვილი მასშტაბის პროექტების განხორციელების დიდი გამოცდილება. მსგავსი პროექტების განხორციელებისას მიღებული გამოცდილებიდან გამომდინარე, ქვე-პროექტის დიზაინი მოიცავს არა მხოლოდ ქუჩების საფარის რეაბილიტაციას, არამედ, ასევე, სანიაღვრე წყლების სადრენაჟე სისტემის და დაერთებების რეაბილიტაციას, ნიშნების დაყენებას, რაც გაზრდის ტრანსპორტის მოძრაობისა და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოებას და შემდგომში ხელს შეუწყობს გზის საფარის მოვლა-შენარჩუნებას.</p>
<p>ქვე-პროექტის მომზადებისას იყვნენ თუ არა ჩართულნი დაინტერესებული თემები და იყო თუ არა მათი ინტერესები და ცოდნა სათანადოდ გათვალისწინებული?</p>	<p>ქვე-პროექტი მომზადებულია მუნიციპალიტეტის მიერ ზემოქმედების ქვეშ მყოფ მოსახლეობასთან კონსულტაციით და როგორც რეაგირება არსებულ სიტუაციაზე.</p>

	<p>ადგილობრივი მოსახლეობა ინფორმირებულია დაგეგმილი სამუშაოების შესახებ და არ აქვთ პრეტენზია დროებით შემაწუხებელ ფაქტორებთან დაკავშირებით.</p> <p>ქვე-პროექტის გარემოსდაცვითი მართვის გეგმა ღონისძიებათა გეგმა ხელმისაწვდომი იყო გურჯაანის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის და მისი საჯარო განხილვა ჩატარდა 2015 წლის 23 სექტემბერს, სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყებამდე, ქალაქ გურჯაანში ორგანიზებულ შეხვედრაზე.</p>
--	---

გ. კლასიფიცირება

მსოფლიო ბანკის უსაფრთხოების (OP4.01) თანახმად პროექტი კლასიფიცირებულია ბ კატეგორიად და საჭიროებს მცირე მშენებლობის და სარეაბილიტაციო მოქმედებების გარემოსდაცვითი მართვის საკონტროლო ჩამონათვლის დასრულებას.

სოციალური სკრინინგი

ინფორმაცია	სოციალური უსაფრთხოების ზომების სკრინინგის შესახებ	Yes	No
1	ინფორმაცია ქვეპროექტების ობიექტების მფლობელობის და კუთვნილების სტატუსის შესახებ არის ხელმისაწვდომი და სარწმუნო? (სკრინინგი ვერ დასრულდება ზემოხსენებულის მოპოვებამდე)	✓	
2	შეზღუდავს თუ არა პროექტი ხალხისათვის მათი ეკონომიკური რესურსების ხელმისაწვდომობას, როგორცაა მიწა, საძოვრები, წყლის რესურსები, კომუნალური სამსახურები ან სხვა რესურსები, რომელზეც ისინი დამოკიდებულნი არიან?		✓
3	პროექტის შედეგად მოსალოდნელია თუ არა ინდივიდების ან ოჯახების განსახლება, ან არსებობს თუ არა მიწის შესყიდვის საჭიროება (სახელმწიფო ან კერძო, დროებით ან მუდმივად) მშენებლობისათვის?		✓
4	მოჰყვება თუ არა პროექტს შედეგად მოსავლის, ხეხილის და სამეურნეო ინფრასტრუქტურის (როგორცაა ბედლები, ეზოს ტუალეტები და სამზარეულოები) დროებითი ან მუდმივი დაკარგვა?		✓
<p>თუკი ზემოხსენებულ რომელიმე კითხვაზე (გარდა შეკითხვისა 1) პასუხი არის “დიახ”, მაშინ გამოყენებული უნდა იქნას OP/BP 4.12 იძულებითი განსახლება და შემამსუბუქებელი ზომები უნდა განხორციელდეს ამ OP/BP 4.12 და განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად</p>			

ნაწილი ა: ზოგადი ინფორმაცია პროექტისა და საპროექტო ტერიტორიის შესახებ

ინსტიტუციონალური და ადმინისტრაციული საკითხები	
ქვეყანა	საქართველო
პროექტის და სახელება	რეგიონული და ინფრასტრუქტურული განვითარების მეორე პროექტი
ქვე-პროექტის დასახელება	სოფელ ჩალაუბნის გზის (გურჯაანის მუნიციპალიტეტი) რეაბილიტაციის
ქმედებების მოცულობა ქვე-პროექტის ფარგლებში	<p>ქვე-პროექტი ითვალისწინებს სოფელ ჩალაუბნის 3 656 მ (მთლიანი ფართი - 25812 მ²) შიდა რაიონული გზის მოასფალტებას და ორ მონაკვეთს მოიცავს:</p> <p>III. მონაკვეთი, რომელიც გაივლის სოფ. ჩალაუბანს, კვ 16+36-ზე კვეთს სარკინიგზო ლიანდაგს და მთავრდება სოფ. მელაანის საზღვართან, სიგრძით 3340 მ.</p> <p>IV. მონაკვეთი, რომელიც იწყება ძირითადი გზის კვ 3+00 ზე (მარცხენა მიერთება გზა №-2) სიგრძით 316 მ.</p> <p>გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები მოიცავს:</p> <ul style="list-style-type: none"> • დაზიანებული და გამოფიტული აბეტონის საფარის (საშ. სისქით 5-6 სმ) მოხსნა მექანიზმების გამოყენებით, დატვირთვა ექსკავატორით ა.თვითმცლელელებზე და გატანა ნაყარში • გზის განივად ჩალაგებული სასმელი წყლის მილების დ - 30მმ დემონტაჟი და ახალი მილების მონტაჟი - 250 გრმ.მ • გზის განივად ჩალაგებული გაზის მილების დ -30მმ დემონტაჟი და ახალი მილების მონტაჟი - 100 გრმ.მ • გვერდულების და სავალი ნაწილის გაწმენდა სამშენებლო ნაგვისა და ნალექების შედეგად ჩამონატანი თიხაში აზელილი გრუნტისაგან და გატანა ნაყარში • არსებული კიუვეტების გაწმენდა • ახალი კუვეტების მოწყობა • საფუძვლის ქვედა ფენის მოწყობა ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით 1 412 კბ.მ; • საფუძვლის ზედა ფენის მოწყობა ფრაქციული ღორღით 20 182 კვ.მ; • ასფალტობეტონის საფარის მოწყობა მსხვილმარცვლოვანი ასფალტობეტონის ნარევით 18 502 კვ.მ; • ასფალტობეტონის საფარის მოწყობა წვრილმარცვლოვანი ასფალტობეტონის ნარევით 20 182 კვ.მ; • გვერდულების მოწყობას - 7310-მ2 • გზებთან მიერთებების მოწყობას - 210 მ²; <p>ქვე-პროექტის სავარაუდო ხანგრძლივობა 4 თვეს შეადგენს.</p>

ინსტიტუციონალური ორგანიზება (მსოფლიო ბანკი)	ჯგუფის ხელმძღვანელი: შაოლან ვანგი		უსაფრთხოების სპეციალისტი: დარეჯან კაპანაძე
განხორციელების ორგანიზება (მსესხებელი)	განმახორციელებელი ერთეული: მუნიციპალური განვითარების ფონდი	სამუშაოთა ზედამხედველი: Eptisa Servicios de Ingenieria S.L. Spain	სამუშაოთა კონტრაქტორი: შპს „სერპანტინი“
ადგილმდებარეობის აღწერა			
ინსტიტუტის დასახელება, რომლის საკუთრების რეაბილიტაციაც არის დაგეგმილი	გურჯაანის მუნიციპალიტეტი		
ინსტიტუტის მისამართი, რომლის საკუთრების რეაბილიტაციაც არის დაგეგმილი	<p>გურჯაანი, ნონეშვილის ქუჩა #13 ტელ: +(995 353) 22 00 06 ელ-ფოსტა: gurjaan_raioni@mail.ru</p> <p>ქვე-პროექტის ობიექტი მდებარეობს გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩალაუბანში, დედაქალაქიდან 90 კმ მანძილზე.</p>		
ვინ არის მიწის ნაკვეთის მფლობელი? ვინ არის მოსარგებლე (ოფიციალურად/არაოფიციალურად)	ადგილობრივი მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწა.		
ფიზიკური და ბუნებრივი გარემო	<p>ქალაქი გურჯაანი, რომელიც გურჯაანის რაიონის ცენტრს წარმოადგენს, საქართველოს აღმოსავლეთით, კახეთის რეგიონში მდებარეობს. გურჯაანი მდებარეობს ალაზნის ველზე, ზღვის დონიდან 415 მ. სიმაღლეზე, თბილისიდან აღმოსავლეთით 110 კმ მანძილზე.</p> <p>2002 წლის აღწერის მონაცემების თანახმად, მისი მოსახლეობა დაახლოებით 10,000 სულს შეადგენდა.</p> <p>სარეაბილიტაციო გზის საერთო სიგრძე შეადგენს 3.656 კმ-ს, რომელიც პირობითად ორს მონაკვეთად იყოფა. I-მონაკვეთი, გაივლის სოფ. ჩალაუბანს, პკ 16+36-ზე კვეთს სარკინიგზო ლიანდაგს და მთავრდება სოფ. მელაანის საზღვართან, სიგრძით 3340 მ. ხოლო II- მონაკვეთი, იწყება ძირითადი გზის პკ 3+00 ზე (მარცხენა მიერთება გზა №-2) სიგრძით 316 მ. გზა ძირითადად მიუყვება საცხოვრებელ სახლებს და სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს. გზის გაწვრივ მდებარეობს საბავშვო ბაღი, საჯარო სკოლა, სოფლის საკრებულოს შენობა.</p> <p>სოფელი მდებარეობს გურჯაანის მუნიციპალიტეტში, ალაზნის ვაკეზე, მდინარე ჭერმისხევის ნაპირას. თელავი-ბაკურციხის საავტომობილო გზაზე. თემის ცენტრი. ზღვის დონიდან 380 მეტრია, გურჯაანიდან მანძილი 11 კილომეტრია. 2002 წლის აღწერის მონაცემებით სოფელში ცხოვრობს 6385 ადამიანი.</p>		

	<p>სოფელში ფუნქციონირებს საბავშვო ბაღი და საჯარო სკოლა. სოფელში ასევე ფუნქციონირებს სამედიცინო პუნქტი, რომელიც სოფლის საკრებულოს შენობაშია განთავსებულია.</p> <p>ეკონომიკის წამყვანი დარგია სოფლის მეურნეობა, ძირითადად მევენახეობა და მეცხოველეობა. ვაზის კულტურას უკავია სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 20%. მრეწველობის მთავარი დარგია მეღვინეობა. რაიონის ტერიტორიაზე გადის სარკინიგზო და საავტომობილო მაგისტრალები.</p> <p>გეოლოგიური, საინჟინრო-გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური პირობები</p> <p>გეომორფოლოგიურად საკვლევი ტერიტორია განლაგებულია ვრცელ ვაკისებურ უბანზე, რელიეფი აქ მშვიდია, არ არის გართულებები რელიეფის უერყოფითი ან დადებითი ფორმებით.</p> <p>ტექტონიკური თვალსაზრისით რაიონი განლაგებულია აჭარა-თრიალეთის ნაოჭა სისტემის, ცენტრალური ზონის აღმოსავლეთ ნაწილში. აჭარა-თრიალეთის ნაოჭა სისტემის ცენტრალური ზონის სხვა ნაწილებისაგან განსხვავებით აღმოსავლეთი დაბოლოვება ხასიათდება დანაოჭების შესუსტებით, რაც გამოიხატება სუსტად შეკუმშული ნაოჭების განვითარებაში.</p> <p>რაც შეეხება ჰიდროგეოლოგიურ პირობებს, საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში და მის მიმდებარედ გრუნტის წყლების ბუნებრივი გამოსავლები არ შეინიშნება. საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონების ახალი სქემის მიხედვით ქ. გურჯაანი მიეკუთვნება 8 ბალიანი სეისმურობის ზონას</p>
<p>მასალების, მათ შორის ინერტული მასალისა და წყლის მიწოდების წყაროების მდებარეობა და დაშორება ქვე-პროექტის განხორციელების ადგილიდან</p>	<p>წყლის მიწოდება მოხდება მუნიციპალური წყალსადენიდან.</p> <p>ქვიშა-ხრემის უახლოესი კარიერი მდებარეობს 30-35 კმ-ში.</p>
<p>კანონმდებლობა</p>	
<p>ეროვნული და ადგილობრივი კანონმდებლობა და ქვე-პროექტის ქმედებების განხორციელებისათვის საჭირო ნებართვები</p>	<p>მსოფლიო ბანკის პოლიტიკისა და ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტის თანახმად ქვე-პროექტი კლასიფიცირდა, როგორც B კატეგორიის პროექტი.</p> <p>ქვე-პროექტი მიღებულია მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ქვე-პროექტის ფარგლებში დაგეგმილი საქმიანობა არ საჭიროებს გარემოსდაცვით შეფასებას, დამტკიცებას ან ნებართვას. თუმცა ეროვნული კანონმდებლობის თანახმად:</p> <ul style="list-style-type: none"> (i) სამშენებლო მასალები შექმნილი უნდა იქნეს ლიცენზირებული მომწოდებლისაგან; (ii) კონტრაქტორი ვალდებულია აიღოს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია ინერტული მასალის მოპოვებისათვის (თუ თავად გადაწყვეტს მოპოვებას, ნაცვლად შექმნისა);

	<p>(iii) კონტრაქტორი ვალდებულია აიღოს ასფალტის ქარხნის გარემოზე ზემოქმედების ნებართვა, თუ ასფალტს აწარმოებს თავად (ნაცვლად შეძენისა), ასევე, კონტრაქტორი ვალდებულია მოამზადოს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონალური წყაროს ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში ბეტონის კვანძისათვის და შეათანხმოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან, თუ ბეტონს აწარმოებს თავად (ნაცვლად შეძენისა);</p> <p>(iv) მიწის სამუშაოების შედეგად წარმოქმნილი ინერტული სამშენებლო ნარჩენები (მოჭრილი მიწა, სედიმენტები) განთავსების ადგილი კონტრაქტორის მიერ წერილობით უნდა შეთანხმდეს ადგილობრივი მუნიციპალიტეტის გამგეობასთან;</p> <p>(v) სამშენებლო ნარჩენები უნდა განთავსდეს უახლოეს მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე კონტრაქტორსა და შპს „მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“ შორის ხელშეკრულების საფუძველზე.</p> <p>სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის (არსებობის შემთხვევაში), ასფალტის ქარხნის გარემოზე ზემოქმედების ნებართვისა და ბეტონის კვანძის ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიშის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან შეთანხმების ასლები თანდართული იქნება გარემოს დაცვის მართვის გეგმაზე, კონტრაქტორის შერჩევის შემდეგ.</p> <p>დაცული უნდა იქნეს GOST და SNIP ნორმები.</p>
საჯარო კონსულტაცია	
<p>სად და როდის ჩატარდა/ჩატარდება საჯარო კონსულტაცია?</p>	<p>ქვე-პროექტის გარემოსდაცვითი მართვის გეგმა ღონისძიებათა გეგმა ხელმისაწვდომი იყო გურჯაანის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის და მისი საჯარო განხილვა ჩატარდა 2015 წლის 23 სექტემბერს, სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყებამდე, ქალაქ გურჯაანში ორგანიზებულ შეხვედრაზე.</p> <p>შეხვედრის ოქმი თანდართულია დოკუმენტზე.</p>
დანართები	
<p>დანართი 1: ქვე-პროექტის განხორციელების ადგილის რუკა დანართი 2: ფოტომასალა დანართი 3: საჯარო კონსულტაციის ოქმი</p>	

ნაწილი B: ინფორმაცია გარემოსდაცვითი უსაფრთხოების შესახებ

გარემოსდაცვითი/სოციალური სკრინინგი			
	ქმედება/საკითხი	სტატუსი	შემარბილებელი დონისძიებები
მოიცავს თუ არა ქვე-პროექტი რომელიმე მითითებულ ქმედებას/საკითხს?	A. შენობის რეაბილიტაცია	<input checked="" type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილი A
	B. ახალი მშენებლობა	<input type="checkbox"/> დიახ <input checked="" type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილი A
	C. ნარჩენი წყლების გადამუშავების ინდივიდუალური სისტემა	<input type="checkbox"/> დიახ <input checked="" type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილი B
	D. ისტორიული შენობ(ებ)ა და რაიონები	<input type="checkbox"/> დიახ <input checked="" type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილი C
	E. მიწის შექმენა ¹	<input type="checkbox"/> დიახ <input checked="" type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილი D
	F. საშიში ან ტოქსიკური მასალები ²	<input type="checkbox"/> დიახ <input checked="" type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილი E
	G. ზემოქმედება ტყეებზე და/ან დაცულ ტერიტორიებზე	<input type="checkbox"/> დიახ <input checked="" type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილი F
	H. სამედიცინო ნარჩენების დამუშავება/ მენეჯმენტი	<input type="checkbox"/> დიახ <input checked="" type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილი G
	I. სატრანსპორტო და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოება	<input checked="" type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილი H

¹ მიწის შესყიდვა მოიცავს ადამიანთა გადასახლებას, საცხოვრებელი პირობების შეცვლას, კერძო საკუთრებაში არსებული ქონების შელახვას - ეს ეხება მიწებს, რომელიც შექმნილი/გადაცემულია და ამ ქმედებას გააჩნია ზემოქმედება იმ ადამიანებზე, რომლებიც ცხოვრობენ ან/და სახლობენ ან/და აწარმოებენ ბიზნესს (სავაჭრო ერთეულებს) შექმნილ მიწაზე.

² ტოქსიკური/ საშიში მასალები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგი მასალებით: აზბესტი, ტოქსიკური საღებავები, მავნე ზემოქმედების მქონე გამხსნელები, ტყვიის შემცველი საღებავის მოშორება და ა.შ.

ნაწილი C: შემარბილებელი ღონისძიებები

ქმედებები	პარამეტრი	ზემოქმედების შემამცირებელი ღონისძიებები საკონტროლო ჩამონათვალი
<p>0. ზოგადი პირობები</p>	<p>ინფორმირება და უსაფრთხოება</p>	<p>(a) ინფორმაცია დაგეგმილი სამუშაოების შესახებ მიწოდებულია ადგილობრივი სამშენებლო და გარემოს დაცვის ინსპექციებისათვის და თემისათვის;</p> <p>(b) ადგილობრივი მოსახლეობა ინფორმირებულია დაგეგმილი სამუშაოების შესახებ მედიაში და / ან საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომ ადგილებში (სამუშაოების განხორციელების ადგილის ჩათვლით) შესაბამისი შეტყობინების განთავსების გზით;</p> <p>(c) გაცემულია მშენებლობისათვის და/ ან რეაბილიტაციისათვის საჭირო ყველა ნებართვა;</p> <p>(d) კონტრაქტორი აცხადებს ოფიციალურ თანხმობას, რომ სამუშაოები განხორციელდება უსაფრთხო და მოწესრიგებული გზით, მიმდებარე ტერიტორიაზე მოსახლეობასა და გარემოზე მინიმალური ზემოქმედების უზრუნველსაყოფად;</p> <p>(e) მუშათა პირადი დამცავი აღჭურვილობა შესაბამისობაში იქნება საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკასთან (სამუშაოების შესრულების დროს მუშებს უნდა ეხურათ ჩაფხუტები, საჭიროების შემთხვევაში ეკეთათ ნიღბები, დამცავი სათვალე, უსაფრთხოების ქამრები და ჩექმები);</p> <p>(f) მუშათა ინფორმირების მიზნით უსაფრთხოების ძირითადი წესები და რეგულირებები განთავსებული უნდა იქნეს შესაბამის მარკინგებზე სამუშაოთა განხორციელების ადგილებზე.</p>
<p>A. ზოგადი სარეაბილიტაციო და / ან სამშენებლო ქმედებები</p>	<p>ჰაერის ხარისხი</p>	<p>(a) ნგრევის შედეგად მიღებული ნამსხვრევების შენახვა უნდა მოხდეს კონტროლირებად ადგილზე და დაინამოს წყლით მტვრის შესამცირებლად;</p> <p>(b) პნევმატური ბურღით ნგრევის პროცესში მტვრის წარმოქმნა და გავრცელება შეზღუდული უნდა იქნეს წყლით დანამავით და/ან მტვრის საწინააღმდეგო ეკრანების გამოყენებით;</p> <p>(c) ნანგრევების დაყრა არ უნდა მოხდეს მიმდებარე ტერიტორიებზე;</p> <p>(d) არ უნდა მოხდეს სამშენებლო ნარჩენების დაწვა;</p> <p>(e) არ უნდა იქნეს ნებადართული სატრანსპორტო საშუალებების და მანქანა-დანადგარების უქმი სვლა;</p> <p>(f) სამშენებლო მასალები/ნარჩენები ტრანსპორტირების დროს უნდა იქნეს დაფარული/დატენიანებული მტვრის წარმოქმნის შემცირების მიზნით.</p>
	<p>ხმაური</p>	<p>(a) ხმაური უნდა შემცირდეს სამუშაოების განხორციელების დროითი ლიმიტების დაწესებით;</p> <p>(b) ოპერირებისას გენერატორების, ჰაერის კომპრესორებისა და სხვა მექანიკური დანადგარების ძრავის საფარები დახურული უნდა იყოს, ამასთან დანადგარები მაქსიმალურად შორს უნდა განთავსდეს საცხოვრებელი ტერიტორიებიდან;</p> <p>(c) სატრანსპორტო საშუალებებმა უნდა იმოძრაონ წინასწარ შეთანხმებული მარშრუტით;</p> <p>(d) უნდა განისაზღვროს სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის მაქსიმალური ნებადართული სიჩქარე;</p> <p>(e) უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სატრანსპორტო საშუალებებისა და მანქანა დანადგარების სათანადო მოვლა და შესაბამისი ტექნიკური კონტროლი;</p> <p>(g) არ უნდა იქნეს ნებადართული სატრანსპორტო საშუალებების და მანქანა-დანადგარების უქმი სვლა; გამოყენებული უნდა იქნეს მასულები.</p>
	<p>წყლის ხარისხი</p>	<p>(a) კონტრაქტორს მოეთხოვება მოაწიოს მასალების დასაწყობების ადგილი, რომელიც დაცული უნდა იქნეს წარეცხვისაგან ძლიერი წვიმის ან დატბორვის დროს წყალგაუმტარი მასალით. გატარებული უნდა იქნეს სედიმენტების კონტროლის ღონისძიებები როგორცაა თივის შეკვრებისა და/ ან ლამის მესერის მოწყობა,</p>

ქმედებები	პარამეტრი	ზემოქმედების შემამცირებელი ღონისძიებები საკონტროლო ჩამონათვალი
		<p>რაც ხელს შეუშლის სედიმენტების სამშენებლო ტერიტორიიდან ჩარეცხვას ახლომდებარე წყლის ობიექტში.</p> <p>(b) მიწის სამუშაოებისა და ნიადაგისა და გრუნტის დროებითი დასაწყობების ადგილების მოწყობისას მინიმუმამდე უნდა იქნეს შემცირებული წარეცხვის საფრთხე;</p> <p>(c) მანქანა-დანადგარები და სატრანსპორტო საშუალებები უნდა შემოწმდეს რეგულარულად, რათა არ ხდებოდეს ზეთებისა და საწვავის დაღვრა. უნდა ხორციელდებოდეს მანქანა-დანადგარებისა და სატრანსპორტო საშუალებების სათანადო მოვლა, ისე რომ მინიმუმამდე იქნეს შემცირებული დაღვრების საფრთხე. სატრანსპორტო საშუალებების შემოწმება უნდა ხდებოდეს ყოველდღიურად სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში შესაბამისი საფარით და საწრეტით. მანქანების სადგომი და შეკეთების ადგილები დაშორებული უნდა იქნეს წყლის ობიექტიდან მინიმუმ 50 მეტრით.</p> <p>(d) ზეთები, გამხსნელები და საწვავი შენახული უნდა იქნეს გამოყოფილ ადგილებში შესაბამისი საფარით და საწრეტით. სამშენებლო მოედანზე ხელმისაწვდომი უნდა იყოს დაღვრის შემთხვევაში შემკავებელი მასალები (სორბენტები, ქვიშა, ნახერხი).</p> <p>(e) არ უნდა მოხდეს ცემენტის ან ბეტონის ნარჩენების ჩარეცხვა ნებისმიერ წყლის ობიექტში.</p>
	ნარჩენების მართვა	<p>(a) სამშენებლო საქმიანობიდან მოსალოდნელი ყველა მნიშვნელოვანი ტიპის ნარჩენისათვის გამოყოფილი უნდა იქნეს დროებითი და საბოლოო განთავსების ადგილები;</p> <p>(b) ინერტული სამშენებლო ნარჩენები გამოცალკევებული უნდა იქნეს სხვა ნარჩენებისგან (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ინერტული სამშენებლო ნარჩენების უნდა განთავსდეს სპეციალურად გამოყოფილ ადგილას, ხოლო სხვა სახის ნარჩენები უნდა შეინახოს სპეციალურ კონტეინერებში;</p> <p>(c) უნდა იწარმოებოდეს და ინახებოდეს დოკუმენტაცია ნარჩენების საბოლოო განთავსების თაობაზე, რათა შესაძლებელი იყოს სათანადო მართვის დასაბუთება;</p> <p>(d) შესაძლებელია შესაბამისი ნარჩენების ხელახლა გამოყენება და რეციკლირება (გარდა აზბესტისა).</p>
	გზის გასწვრივ არსებული ხეების დაცვა	<p>a) არ უნდა მოხდეს გზის გასწვრივ არსებული ხეების მოჭრა და უნდა მოხდეს მათი უნებლიე დაზიანებისაგან დაცვა ;</p> <p>b) ღარებზე არსებული ბუჩქნარის და მცენარეების მოჭრა და გატანა წერილობით დადასტურებული უნდა იყოს ადგილობრივი (მუნიციპალური) მმართველი ორგანოს მიერ.</p>
	მასალების მიწოდება	<p>a) გამოყენებული უნდა იქნეს ინერტული მასალის არსებული კარიერები, რომლებზეც გაცემულია შესაბამისი ლიცენზია;</p> <p>b) ინერტული მასალის ახალი კარიერის ამოქმედების შემთხვევაში კონტრაქტორმა უნდა მოიპოვოს შესაბამისი ლიცენზია;</p> <p>c) ინერტული მასალის კარიერი ან მისი გამოყენებული ნაწილი უნდა იქნეს აღდგენილი ან სათანადოდ დახურული თუ ლიცენზიის მოქმედების ვადა ამოწურულია ან ინერტული მასალის მოპოვება დასრულებულია;</p> <p>d) მასალების ტრანსპორტირება არ უნდა მოხდეს პიკის საათებში.</p>

ქმედებები	პარამეტრი	ზემოქმედების შემამცირებელი ღონისძიებები საკონტროლო ჩამონათვალი
<p>H სატრანსპორტო საშუალებებისა და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოება</p>	<p>სამშენებლო საქმიანობის სახიფათო პიდაპირი ან არაპირდაპირი ზემოქმედება საზოგადოებრივ ტრანსპორტზე და ფეხით მოსიარულეებზე</p>	<p>ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად კონტრაქტორი უზრუნველყოფს, რომ სამშენებლო ტერიტორია შესაბამისად დაცულია და მშენებლობასთან დაკავშირებული ტრანსპორტის ოპერირება რეგულირებულია. ეს მოიცავს მაგრამ არ არის ლიმიტირებული შემდეგით:</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ განთავსებული უნდა იქნეს მოძრაობის გამაფრთხილებელი ნიშნები, ბარიერები და ტრანსპორტის მარშრუტის ცვლილების ნიშნები. საზოგადოება გაფრთხილებული უნდა იყოს ყველა შესაძლო საშიშროების შესახებ; ▪ უნდა ჩამოყალიბდეს მოძრაობის მართვის სისტემა და ჩატარდეს თანამშრომელთა ტრენინგი, განსაკუთრებით ტერიტორიაზე შესვლასა და ტერიტორიის მახლობლად მძიმე ტექნიკის გადაადგილების შესახებ. ფეხით მოსიარულეთათვის უნდა მოეწყოს უსაფრთხო გადასასვლელები იმ ადგილებში, სადაც მოძრაობს სამშენებლო ტექნიკა; ▪ სამუშაო საათები შესაბამისობაში უნდა იქნეს მოყვანილი ადგილობრივი ტრანსპორტის მოძრაობის განრიგთან, მაგ: ინტენსიური გადაზიდვები არ უნდა განხორციელდეს საზოგადოებრივი ტრანსპორტის ინტენსიური მოძრაობის პერიოდში ან მსხვილფეხა პირუტყვის გადაადგილების საათებში; ▪ ტრანსპორტის მოძრაობა უნდა იმართებოდეს დატრენინგებული თანამშრომლების მიერ; ▪ გზის რეაბილიტაციის სამუშაოების დროს უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ფეხითმოსიარულეთა უსაფრთხო მოსვლა მაღაზიებთან, საცხოვრებელ სახლებთან; ▪ სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობისას, თუკი შენობები არ იხურება საზოგადოებისათვის, ოფისის შენობებთან, მაღაზიებთან და საცხოვრებელ შენობებთან უსაფრთხო და უწყვეტი მისვლის უზრუნველყოფა; ▪ მოწყობილი უნდა იქნეს სიჩქარის შემზღუდავი ბარიერები და განთავსდეს შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნები (ვიწრო გზა) ადგილობრივ საპატრულო პოლიციასთან შეთანხმებით.

ნაწილი D: მონიტორინგის გეგმა

ქმედება	რა პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	სად ტარდება მონიტორინგი	როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი	როდის რა სიხშირით/ პერიოდულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი	ვინ არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
სამშენებლო ფაზა						
სამშენებლო მასალების მიწოდება	სამშენებლო მასალების შექმნა მხოლოდ ოფიციალურად დარეგისტრირებული მომწოდებლებისაგან	მომწოდებლის ოფისში, ან საწყობში	დოკუმენტების შემოწმება	მოწოდების კონტრაქტების გაფორმებისას	ინფრასტრუქტურის ტექნიკური მდგრადობის და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი
სამშენებლო მასალების და ნარჩენების ტრანსპორტირება; სამშენებლო მექანიზმების გადაადგილება	სატრანსპორტო საშუალებების და მექანიზმების ტექნიკური მდგომარეობა; სამშენებლო მასალებისა და ნარჩენების გადაზიდვა დახურული მანქანებით; ტრანსპორტირებისათვის განკუთვნილი დროისა მარშრუტების დაცვა.	სამშენებლო ტერიტორია	ინსპექტირება	გაუფრთხილებელი ინსპექტირება როგორც სამუშაო, ასევე არა სამუშაო საათებში	მიწისა და ჰაერის ემისიებით დაბინძურების შემცირება; ხმაურით და ვიბრაციით ადგილობრივი მოსახლეობის შეწუხების შეზღუდვა; ტრანსპორტის მოძრაობის დარღვევის მინიმუმამდე შემცირება.	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი, საპატრულო პოლიცია

ქმედება	რა პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	სად ტარდება მონიტორინგი	როგორ უნდა განხორციელდ ეს მონიტორინგი	როდის რა სიხშირით/ პერიოდულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი	ვინ არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
მიწის სამუშაოები	<p>ამოღებული გრუნტის დროებითი დასაწყობება წინასწარ განსაზღვრულ და შეთანხმებულ ტერიტორიებზე;</p> <p>ამოღებული გრუნტის უკუჩაყრა და/ან განთავსება ოფიციალურად გამოყოფილ ტერიტორიებზე;</p> <p>შემთხვევითი აღმოჩენების შემთხვევაში, სამუშაოების დაუწყონებლივი შეწყვეტა, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინფორმირება და სამუშაოების განახლება მხოლოდ სამინისტროსგან წერილობითი თანხმობის მიღების შემდეგ.</p>	სამშენებლო ტერიტორია	ინსპექტირება	მიწის სამუშაოების მიმდინარეობის დროს	<p>სამშენებლო და მისი მიმდებარე ტერიტორიის სამშენებლო ნარჩენებით დაბინძურების თავიდან აცილება</p> <p>ფიზიკური და კულტურული რესურსების დაზიანების და დაკარგვის თავიდან აცილება</p>	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი
ინერტული მასალების წყარო	<p>მასალების შექმნა არსებული, ლიცენზირებული მომწოდებლებისაგან, თუ ეს შესაძლებელია;</p> <p>სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მიღება კონტრაქტორის მიერ და ლიცენზიის პირობების მკაცრი დაცვა;</p>	ინერტული მასალის კარიერები	დოკუმენტების ა და სამუშაოების ინსპექტირება	ინერტული მასალის მოპოვების პერიოდში	<p>ეროზიის შემცირება და ეკოსისტემებისა და ლანდშაფტების დეგრადირების მინიმიზაცია;</p> <p>სედიმენტებით წყლის დაბინძურების,</p>	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი


ქმედება	რა პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	სად ტარდება მონიტორინგი	როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი	როდის რა სიხშირით/ პერიოდულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი	ვინ არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
	<p>კარიერების დაყოფა ტერასებად, დამუშავებული ადგილების რეაბილიტაცია და ლანდშაფტთან ჰარმონიზება;</p> <p>მდინარეში ქვიშა-ხრეშის მოპოვება წყლის ნაკადის გარეთ, დამცავი ბარიერების მოწყობა ექსკავაციის ადგილსა და წყლის ნაკადს შორის. დაუშვებელია მანქანების შესვლა წყლის ნაკადში.</p>				ასევე ჰიდრობიონტთა საარსებო პირობების დარღვევის შემცირება.	
სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა	<p>სამშენებლო ნარჩენების დროებითი შენახვა სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში;</p> <p>ნარჩენების დროული განთავსება ოფიციალურად გამოყოფილ ადგილებში.</p>	<p>სამშენებლო ტერიტორია;</p> <p>ნარჩენების განთავსების ტერიტორია</p>	ინსპექტირება	პერიოდულად მშენებლობის პროცესში და პრეტენზიების შემთხვევაში	სამშენებლო და მის მეზობლად მდებარე ტერიტორიების მყარი ნარჩენებისაგან დაბინძურების თავიდან აცილება	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი
სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა	<p>აზბესტის შემცველი მილების დანამვა ამოღებისა და დროებითი დასაწყობების დროს მანამ სანამ მოხდება მათი გადატანა.</p>	სამშენებლო ტერიტორია;	ინსპექტირება	სამუშაოს პროცესში მოულოდნელი დაუგეგმავი შემოწმება	მუშაობის პროცესში უბედური შემთხვევებისა და საფრთხის თავიდან აცილება	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი


ქმედება	რა პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	სად ტარდება მონიტორინგი	როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი	როდის რა სიხშირით/ პერიოდულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი	ვინ არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
	სპეციალურად გამოყოფილ გადახურულ ადგილებზე აზბესტის შემცველი ნარჩენების დროებითი დასაწყობება-შენახვა					
ტრანსპორტის მოძრაობის დარღვევა და ფეხით მოსიარულეთა მიმოსვლის შეზღუდვა	სატრანსპორტო მოძრაობის შეზღუდვის/მოძრაობის მიმართულების შეცვლის ნიშნების განთავსება; სამშენებლო მასალებისა და ნარჩენების დროებითი განთავსება ისე, რომ თავიდან იქნას აცილებული სატრანსპორტო საცობები მისასვლელ გზებზე.	სამშენებლო და მიმდებარე ტერიტორიები	ინსპექტირება	სამშენებლო სამუშაოების პერიოდში	სატრანსპორტო შემთხვევების თავიდან აცილება	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი

ქმედება	რა პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	სად ტარდება მონიტორინგი	როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი	როდის რა სიხშირით/ პერიოდულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი	ვინ არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
მუშების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება	<p>მუშების ფორმებით და ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით აღჭურვა;</p> <p>მუშების და პერსონალის ინფორმირება მექანიზმებთან/აღჭურვილობასთან მუშაობისას ინდივიდუალური უსაფრთხოების წესების და ინსტრუქციების შესახებ და ასევე აღნიშნული წესები/ინსტრუქციების მკაცრი დაცვა</p>	სამშენებლო ტერიტორია	ინსპექტირება	გაუფრთხილებელი შემოწმება სამუშაოების მსვლელობისას	უბედური შემთხვევების თავიდან აცილება	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი
საოპერაციო ფაზა						
რეზილიტირებული გზის მოვლა	<p>სიჩქარის შემზღვევადი ბარიერების და საგზაო ნიშნების მოვლა-შენარჩუნება;</p> <p>გზის შეკეთების სამუშაოების წარმოებისას შესაბამისი მონაკვეთების მონიშვნა;</p>	რეზილიტირებული გზა	ინსპექტირება	მოვლა-შენარჩუნების სამუშაოების წარმოების დროს	საგზაო უბედური შემთხვევებისა და მოძრაობის შეფერხების თავიდან აცილება	გურჯაანის მუნიციპალიტეტი

ქმედება	რა პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	სად ტარდება მონიტორინგი	როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი	როდის რა სიხშირით/ პერიოდულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი	ვინ არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
	გზის შეკეთების სამუშაოების შედეგად წარმოქმნილი ასფალტის და სხვა ნარჩენების განთავსება გამოყოფილ ნაგავსაყრელზე.					

დანართი 1: ქვე-პროექტის განხორციელების ადგილის რუკა





სოფ. ჩაღატაშის შიდა საკმინო გზა

თბილისის რაიონი	საქართველო	საქართველო	საქართველო
აკ 0+00-აკ 33+40	მ. ა.	1	1
გადასახვევი აკ 3+00 ზე	მას. აღწერ. რიგში		
აკ 0+00-აკ 3+16			

დანართი 2: ფოტომასალა





23 სექტემბერი, 2015 წელი

ქალაქი გურჯაანი, საქართველო

საჯარო განხილვის ოქმი

რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების მეორე
პროექტი (RMIDP II)

სოფელ ბაკურციხის კულტურის სახლისა და სოფელ ჩალაუბნის

გზის რეაბილიტაციის ქვეპროექტები

გარემოსდაცვითი და სოციალური მიმოხილვის დოკუმენტების

და

გარემოს დაცვის მართვის გეგმების საჯარო განხილვა

2015 წლის 23 სექტემბერს ქალაქ გურჯაანში, გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობის მცირე დარბაზში ჩატარდა სოფელ ბაკურციხის კულტურის სახლისა და სოფელ ჩალაუბნის გზის რეაბილიტაციის ქვეპროექტების გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგის დოკუმენტებისა და გარემოს დაცვის მართვის გეგმების საჯარო განხილვა. შეხვედრა მიზნად ისახავდა ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებას ქვეპროექტის ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოების, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი უარყოფითი/დადებითი ზეგავლენის და მათი თავიდან აცილების გზებისა და საშუალებების შესახებ.

შეხვედრას ესწრებოდნენ ქალაქ გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენლები: ზაქრო ქაჩლიშვილი, ვანო ბერიძეშვილი, დიმიტრი კალატოზიშვილი, ფიქრია მოდებაძე.

სოფელ ჩალაუბნის მაცხოვრებლები: იაგო კაპანაძე, მამუკა ჯავახიშვილი, ნატო ლეიაშვილი, ნინო პაპოშვილი, მზია სეფიაშვილი, მარინა ფრიდონიშვილი

სოფელ ბაკურციხის მაცხოვრებლები: ელზა ქრისტესიაშვილი, იზა სონლულაშვილი, ირმა ჯადუგიშვილი, ნოდარი სამადაშვილი, ნუგზარი ვარდიაშვილი, გიორგი ლეიაშვილი, ზაზა ქრისტესიაშვილი, სიმონ სამადაშვილი.

მუნიციპალური განვითარების ფონდის წარმომადგენლები:

ნინო პატარაშვილი - გარემოსდაცვითი უსაფრთხოების სპეციალისტი;

თამარ ქარდავა - ბენეფიციარებთან ურთიერთობის სპეციალისტი;

მარი ხოხობაშვილი - გარემოს დაცვისა და განსახლების სამსახურის სტაჟიორი სოციალური და გენდერული საკითხებში;

შეხვედრა გახსნა თამარ ქარდავამ და დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა ინფორმაცია შეხვედრის მიზნებისა და ქვე-პროექტების შესახებ რომელთა გარემოსდაცვითი დოკუმენტაციის განხილვასაც მიემდგვნა აღნიშნული შეხვედრა. თ. ქარდავამ საზოგადოებას წარუდგინა მუნიციპალური განვითარების გარემოს დაცვის სპეციალისტი ნინო პატარაშვილი და მას გადასცა სიტყვა.

ნ. პატარაშვილმა საზოგადოებას წარუდგინა ქვე-პროექტისათვის მომზადებული სოციალური და გარემოსდაცვითი სკრინინგის დოკუმენტები და გარემოს დაცვის მართვის გეგმები. მოკლედ აუხსნა საზოგადოებას მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული ქვე-პროექტების სოციალური და გარემოსდაცვითი სკრინინგის პროცედურები და სოციალური და გარემოსდაცვითი მოთხოვნები მოცემული ქვე-პროექტებისთვის, მიმოიხილა ქვე-პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოები, ამ სამუშაოების განხორციელებისას მოსალოდნელი დადებითი და უარყოფითი სოციალური და გარემოსდაცვითი ზეგავლენა არსებულ გარემოზე და ის ძირითადი ღონისძიებები, რომელთა გატარებაც აუცილებელია სავარაუდო უარყოფითი ეფექტების თავიდან ასაცილებლად ან მათ შესარბილებლად.

ნ. პატარაშვილმა ისაუბრა გარემოსდაცვითი მართვის გეგმის შინაარსსა და სტრუქტურაზე, გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარების აუცილებლობაზე და ქვე-პროექტის გარემოსდაცვითი მონიტორინგის საკითხებზე. მან აღნიშნა, რომ გარემოსდაცვითი მართვის გეგმა არის მშენებელ კონტრაქტორთან გაფორმებული ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი და კონტრაქტორს ევალება ზედმიწევნით შეასრულოს გეგმით განსაზღვრული ღონისძიებები.

შეხვედრის ბოლოს ნ. პატარაშვილმა შეხვედრის მონაწილეებს მიაწოდა ინფორმაცია საკონტაქტო პირების შესახებ, ვისთანაც საზოგადოებას საშუალება აქვს დაუკავშირდეს და საკუთარი მოსაზრება დააფიქსიროს გარემოს დაცვითი და სოციალურ საკითხებთან დაკავშირებული რაიმე სახის უკმაყოფილების წარმოშობის შემთხვევაში.

პრეზენტაციის დასრულების შემდეგ საზოგადოებას საშუალება მიეცა გამოეთქვათ საკუთარი აზრი ან/და დაესვათ კითხვები წარდგენილ საკითხებთან დაკავშირებით, შეხვედრის მონაწილეების მიერ დასმული იქნა შემდეგი შეკითხვები:

შეკითხვები და შენიშვნები	პასუხები და კომენტარები
<p>როგორც მოგეხსენებათ ზამთარი მოახლოვებულია, მოცემულ სეზონზე სამშენებლო სამუშაოების დაწყება ხელს ხომ არ შეუშლის პროექტით გათვალისწინებული სარეაბილიტაციო სამუშაოების ხარისხიან განხორციელებას და პროექტის ხანგრძლივობის გაანგარიშებისას თუ იქნა გათვალისწინებული ზამთრის სეზონთან დაკავშირებული ხელშემშლელი ფაქტორები?</p>	<p>საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს გააჩნია მსგავსი პროექტების, დიდი და საკმაოდ კარგი გამოცდილება, ტენდერის საფუძველზე შეირჩევა კომპეტენტური კომპანია, რომელსაც ექნება კარგი გამოცდილება მოცემულ სფეროში და სწორად დაგეგმავს სამუშაოებს სეზონების მიხედვით. მკაცრი კლიმატური პირობების გამო, თუ საჭიროება მოითხოვს, სამუშაოები დროებით შეჩერდება და გაგრძელდება იმ ტემპერატურულ რეჟიმში რომელიც დასაშვებია სარეაბილიტაციო სამუშაოების განსახორციელებლად.</p>
<p>გათვლილია თუ არა ღვარსადენების და ეზოსთან მისასვლელი ბორდიურების გაკეთება?</p>	<p>დიახ, პროექტი ითვალისწინებს სანიაღვრე წყალამრიდების და ეზოში შესასვლელების/მიერთებების მოწყობას. რაც შეეხება გვერდულებს, მათი მოწყობა პროექტით გათვალისწინებული არ არის, ვინაიდან საავტომობილო გზის განივკვეთი არ იძლეოდა ამის საშუალებას. პროექტით გათვალისწინებულია მხოლოდ არსებული გვერდულების გაწმენდა და გასუფთავება.</p>
<p>ხელს შეუშლის თუ არა ვალუტის რყევა მიმდინარე სამუშაოებს?</p>	<p>არა, გავლენა მოსალოდნელი არ არის, ვინაიდან მსოფლიო ბანკის მიერ სამუშაოებისთვის უკვე გამოყოფილია ქვე-პროექტის განხორციელებისთვის საჭირო თანხები.</p>

შეხვედრის დასასრულს ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლებმა გამოხატეს დადებითი დამოკიდებულება ქვე-პროექტების მიმართ და გამოთქვეს იმედი, რომ პროექტებით გათვალისწინებული სარეაბილიტაციო სამუშაოები დროულად დასრულდება.

შეხვედრის ფოტომასალა და შეხვედრაზე დამსწრეთა სარეგისტრაციო ფურცელის ასლი თანდართულია.

ოქმი მომზადებულია საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის
სოციალური და გენდერული საკითხების სპეციალისტის ნინო პატარაშვილის მიერ.

23 სექტემბერი 2015.

ფოტოები:




დამსწრეთა სია:

რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების მეორე პროექტი
 სოფელ ბაკურციხის კულტურის სახლისა და სოფელ ჩალაუზნის გზის რეაბილიტაციის ქვე-პროექტების
 სოციალური და ბუნებრივი გარემოს დაცვის მართვის გეგმის საჯარო განხილვა
 23 სექტემბერი 2015 წელი

შეხვედრაზე დამსწრეთა რეგისტრაციის ფურცელი

	სახელი, გვარი	ორგანიზაცია	საკონტაქტო ინფორმაცია	ხელმოწერა
1.	ზაპრი სვიანიძე	შპს „აქინაზი“	599 42 86 59 591-41-08-44	
2.				
3.	რომანო ნეჩიაშვილი	შ.პ.ს. „მედიკალური“	595-20-38-82	
4.	ივანე ვასილაძე	სოფ. გორის მუნიციპალიტეტი	599 37 87 56 5939820 77	
5.	მანუა ყაჯიბეიძე	სოფ. გორი	599 01 7010	
6.	ი.ბა სონიძე	სოფ. გორი	551 79 11 72	
7.	ი.ბა სონიძე	სოფ. გორი	571 16 24 26	
	ი.ბა სონიძე	სოფ. გორი	591818928	

8.	Եղիշի Կեղեցիկ	Զարգիստ	551 48 49 99	
9.	Յուզբան շահաճյան	Ճարտարագիտություն	790 23 39 54	
10.	Յուրախ Եղիշյան	Ճարտարագիտություն	568 86 32 91	
11.	Եսլամ Եղիշյան	Կառուցություն	577 67 30 76	
12.	Երան Եղիշյան	Կառուցություն	577-67-18-06	
13.	Զոհրա Եղիշյան	Կառուցություն	577 67 18 12	
14.	Զարեհ Եղիշյան	Կառուցություն	577 67-90-87	
15.	Զ.Զ. Կոչարյան	Ճարտարագիտություն	551 18 29 22	
16.	Լևոն Լեւոնյան	Ճարտարագիտություն	591-69-16-00	
17.	Զարեհ Կոչարյան	Ճարտարագիտություն Կառուցություն	599-85-22-21	
18.	Յուրախ Եղիշյան	Ճարտարագիտություն Կառուցություն	595-78-41-41	

19.	Radfahrer 540/100/200/200	200/100/200/200	577157151	
20.	30/100 200/100	200/100/200/200	577945437	9.000
21.				
22.				
23.				
24.				
25.				
26.				
27.				
28.				
29.				